№ 46

წელიწადი მეორე

მთავრობის მოამბე

წელიწადი მეორე

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 50 კ.

# საქართველოს რესპუბლიკა

ხუთშაბათი, 27 თებერვალი 1919 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

## „საქართველოს რესპუბლიკა“

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით—120 მ. ნახევარი წლით—60 მ., ერთი თვით 10 ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10 საათიდან შუადღევის 3 საათამდე. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82.

## სახელმწიფო თეატრი

— ოპერა. —

ს. ი. ევლახიშვილის დირექცია.

ხუთშაბათს 27-ს თებერვალს ი. სარაჯიშვილის ბენეფისი. 1. საბანეევას, სარაჯიშვილის, ვრონსკის მონაწილეობით

## მარგალიტის მაძიებელნი

...ლგინას, აგასოვას და სპიტკოს, სარაჯიშვილისა და პოლიაევის მონაწილეობით „თქმულება შოთა რუსთაველზე“. შაბათს, მარტის 1-ს კორშონის ბენეფისი „ნერონი“. საღამოს ...პსკის ბენეფისი. საბანეევას, ზალიპსკის, ნიკოლსკის მონაწილეობით „გოფმანის ზღაპრები“. კვირას, მარტის 2-ს, დილით „ევგენი ონეგინი“. საღამოს საბანეევას, ზალიპსკის და ...სკის მონაწილეობით „ლაკმე“. 333 1—1

## დუშეთის მაზრაში ასარჩევია
## მომრიგებელი მოსამართლეები

ჯამაგირები მომატებულია. თხოვნები მიიღება ამ წლის 20 მარტამდის.

3 267

დუშეთის სამაზრო ერობის გამგეობა

## შტატი.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ რედაქციისა.

| | თანამდებობანი. | თანამდ. რიცხ-ვი. | ჯამაგირის რაოდენობა. თვიურად მანეთობ. | ჯამაგირის რაოდენობა. წლიურად მანეთობ. |
|---|---|---|---|---|
| 1 | რედაქტორი | 1 | 950 | 11400 |
| 2 | მდივანი | 1 | 900 | 10800 |
| 3 | მდივნის თანაშემწე | 1 | 700 | 8400 |
| 4 | მთარგნელი | 1 | 600 | 7200 |
| 5 | ქრონიკიორი (თითოს 200 მ. თვიურ) | 2 | 400 | 4800 |
| 6 | კორეკტორნი (ერთ 700 მ. მეორეს 500 მ. თვიურად) | 2 | 1200 | 14400 |
| 7 | კანტორის გამგე | 1 | 800 | 9600 |
| 8 | მისი თანაშემწე | 1 | 600 | 7200 |
| 9 | ექსპედიტორი | 1 | 550 | 6600 |
| 10 | მისი თანაშემწენი (ერთს 450 მან. მეორეს 350 მან. თვიურად) | 2 | 800 | 9600 |
| 11 | მსახური (თითოს 350 მან. თვიურად) | 2 | 700 | 8400 |
| | | 15 | 8200 | 98400 |

1919 წ. იანვრის 31-ს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი ექვ. თაყაიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**საქართველოს პარლამენტის მოქმედების შეჩერების შესახებ.**

1. პარლამენტის მოქმედება შეჩერებულ იქნეს ამა იანვრის 31-დან.

2. პარლამენტი დათხოვნილად ითვლება დღიდან დამფუძნებელ კრების შეკრებისა.

3. დამფუძნებელ კრებას მოიწვევს პარლამენტის პრეზიდიუმი და პარლამენტის ცენტრალური დამფუძნებელ კრების საარჩევნო კომისია.

1919 წ. იანვრის 31-ს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი **ექვ. თაყაიშვილი.**

## ბრძანება.

**იუსტიციის მინისტრისა.**

**ცირკულიარული.**

1919 წ. თებერვლის 25.

ტფილისის და ქუთაისის ოლქის სასამართლოებისადმი

№ 48.

თანახმად რესპუბლიკის მთავრობის 1919 წლის თებერვლის 8-ის დადგენილებისა, ქუთაისის და ტფილისის ოლქის სასამართლოებში წარმოება იმ საქმეებისა, რომლებიც დაიწყება ამა წლის მარტის 1-ან, შემოღებულ იქმნას შემდეგის წესით:

1. ქუთაისის სასამართლოში ყველა, როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის საქმეების და ტფილისის სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეები (განურჩევლად იმისა, რა ენაზე იყო წარმოებული წინასწარი გამოძიება), და აგრეთვე ის სამოქალაქო საქმეები, სადაც არც მომჩივანი, არც მოპასუხე და არც მთხოვნელი ცალმხრივ პროცესში ტფილისის მცხოვრები არ არის, უნდა სწარმებდეს ქართულ ენაზე.

2. ტფილისის სასამართლოში იმ სამოქალაქო საქმეებში, სადაც მომჩივანი, ან მოპასუხე, ან მთხოვნელი ცალმხრივ პროცესში, თუმცა ქალაქ ტფილისის მცხოვრებია, მაგრამ ყველანი ქართველები არიან ან და საქართველოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი დაწესებულება იღებს საქმეში მონაწილეობას, ყოველი საჩივარი, პასუხი და თხოვნა უნდა შედგენილ იქნას ქართულ ენაზე და ამავე ენაზე სწარმოებდეს მთელი საქმე.

3. ყველა დანარჩენ სამოქალაქო საქმეებში, სადაც ან მომჩივანი, ან მოპასუხე, ან მთხოვნელი ცალმხრივ პროცესში ქ. ტფილისის მცხოვრებია და თან რომელიმე ამათგანი ქართველი არ არის, ან კერძო იურიდიული პიროვნება ურევია, მომჩივანს და მთხოვნელს ცალმხრივ პროცესში უფლება აქვს შეიტანოს საჩივარი და თხოვნა ქართულ ან რუსულ ენაზე, როგორც ის მოისურვებს, და შემდეგ საქმის მთელი წარმოება ტფილისის სასამართლოში უნდა იქმნას იმ საჩივრის ან თხოვნის ენაზე.

**შენიშვნა:** მესამე პირთა მოწვევა ან შესვლა პროცესში, სადაც არ უნდა სცხოვრობდენ და რა ეროვნებისაც უნდა იყვნენ, არ სცვლის წინა (1-3) მუხლებში აღნიშნულს საქმის წარმოების წესებს.

4. ყოველივე საჩივარი ან თხოვნა, რომელიც დაწერილი იქნება წინა მუხლებში მოყვანილ წესის დარღვევით, უნდა დაუბრუნდეს შემტანს.

5. ტფილისის სასამართლო პალატაში ყოველი საქმე უნდა სწარმოებდეს იმ ენაზე, რომელზედაც იგი სწარმოებდა ოლქის სასამართლოში, და იმავე ენაზე უნდა დაწერილ იქმნას სააპელაციო თუ კერძო საჩივარი პალატის სახელზე.

6. საბუთების წარდგენა იმ საქმეებზე, რომელთა წარმოება სავალდებულოა ქართულ ენაზე, შეიძლება როგორც ქართულ ენაზე, ისე რუსულზე.

7. იმ საქმეების გამო, რომლებიც შემოსულია ტფილისის და ქუთაისის ოლქის სასამართლოს საბრალმდებლო ნაწილში, აგრეთვე რესპუბლიკის დროებით საგანგებო სასამართლოთა საბრალმდებლო ნაწილში, გარდა სოხუმის ოლქისა, მარტის 1-მდე, და რომელზედაც ბრალდების ოქმი ჯერ არ არის შედგენილი, უკანასკნელი შედგენილ უნდა იქმნას ქართულად, მიუხედავად იმისა, ქართულად არის ნაწარმოები წინასწარი გამოძიება თუ რუსულად, აგრეთვე მთელი შემდეგი წარმოება საქმისა სათანადო სასამართლოში ქართულივე უნდა იყოს.

8. ყველა გამომძიებლები — ზოგიერთი გამონაკლისით ტფილისის გუბერნიისათვის, ვისაც ეს სახელდობრ დროებით ნებადართული ექნება სამინისტროს მიერ—სახელმწიფო ენაზე უნდა შეუდგნენ საქმის წარმოებას.

9. ტფილისის და ქუთაისის ოლქის და საგანგებო სასამართლოებში, აგრეთვე სასამართლო პალატაში და საბრალმდებლო ნაწილში მთელი კანცელარია მარტის 1-დანვე ქართულად უნდა მოეწყოს, რისთვისაც სასამართლო დაწესებულებათა უფროსებს ევალებათ დაუყონებლივ სათანადოდ შესცვალონ ხსენებულ დაწესებულებათა კანცელარიების პირადი შემადგენლობა.

იუსტიციის მინისტრი

**შ. ვ. ალექსი-მესხიშვილი.**

## განკარგულებანი

**ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსი.**

5 თებერვალი, 1919 წ.

№ 19.

**განთავისუფლებულ იქმნან:** და სრულიად დათხოვნილ სამსახურიდან ფოთის სავაჭრო ნავთ-სადგურის უფროსი გ. ა. დვალიშვილი, ამავე ნავთ-სადგურის სამმართველოს ბუხგალტერი ი. გ. გაბესკირია, სანავთ-სადგურო გადასახადების აგენტი აკ. ივ. ოსიძე და მგზავრთა და ტვირთების მოძრაობის ზედამხედველი ა. ლ. ჯალაგანიძე.

**დანიშნულ იქმნენ.** ფოთის ნავთ-სადგურის უფროსის თანამდებობის დროებით ამსრულებლად ფოთის ქალაქის თვითმმართველობის წევრი კ. ა. ხოპერია და ამავე ნაათ-ხადგურის უფროსის თანაშემწის თანამდებობის დროებით ამსრულებელად, ნავთ-სადგურის სამმართველოს ხაზინადარი ა. ხ. ჩილიკოვი, ყველანი 1919 წლის 30 იანვრიდან.

7 თებერვალი, 1919 წ.

№ 20.

**დამტკიცებულ იქმნას:** საბიუჯეტო-სახაზინო მცირე განყოფილების გამგის თანამდებობაზე, ამავე განყოფილების გამგის მოვალეობის დროებით აღმასრულებელი ბუხჰალტერი ალექსანდრე სვიმონის ძე ვაშაკიძე ამა თებერვლის პირველიდან.

№ 21.

**შტატ გარეშე დატოვებულ იქმნას:** საერთო წესის მიხედვით გადასახადის და ხაზინის სამმართველოს მე-4 განყოფილების უფროსი ალექსი ალრიანის ძე იზიუმსკი ამა წლის 1 თებერვლიდან.

№ 22.

**დანიშნულ იქმნეს:** ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ბუხჰალტერი იაროსლავი ზურაბის ძე გძელიძე შორაპნის მაზრის პირველ უბნის გადასახადთა ინსპექტორის თანაშემწეთ ამა თებერვლის 1-დან.

8 თებერვალი, 1919 წ.

№ 23.

**შტატ გარეშე რჩება საერთო წესის მიხედვით.** ტფილისის მეექვსე უბნის გადასახადთა ინსპექტორი ლეონ რუსტამის ძე ყორღანოვი ამა წლის თებერვლის 5-დან.

ფინანსთა და **ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი ჟურული.**

სამინისტროს დირექტორი **ჰანტურია.**

---

**არა ოფიციალური განყოფილება**

---

# მიწათ-მოქმედების სამინისტროში

### წინანდლის მამულის რევიზია.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს მიერ შემდგარ საგანგებო რევიზიამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა თელავის მაზრაში მდებარე წინანდლის სახელმწიფო ეროვნულ მამულის მთელი მეურნეობის რევიზია, უკვე დაასრულა რევიზია და ვრცელი მოხსენება წარუდგინა მიწათ-მოქმედების მინისტრს ბ. ბ. ხომერიკს. რევიზიამ გასტანა ერთ კვირას. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეთ იყო დანიშნული მ. ს. ქარცივაძე, ხოლო წევრებათ ე. გ. რამიშვილი, ა. ა. იეგოროვი და ტველკმაიერი. მოგვყავს ამ სარევიზიო კომისიის მოხსენების საგულისხმო ადგილები ამ მამულის შესახებ.

### ვენახები.

სეზონის (ზამთრის) მუშაობა ვენახებში ძლიერ დაგვიანებულა, რასაც აუცილებლათ მოჰყვება დაგვიანება დანარჩენ სავენახე მუშაობისა და ამ მხრივ წინანდლის მამულს მიმდინარე წელს, შედარებით წინა წლებთან, უკავია უკანასკნელი ადგილი ყველა დანარჩენ კახეთის სახელმწიფო მამულებთა შორის. მაგალითად 106 დესეტინა სავენახე ადგილიდან, რომელიც შედის წინანდლის მამულში მიმდინარე წლის 15 თებერვლისათვის, მოხნულა მხოლოდ 30 დესეტინა, დაბარულა 75 დეს. და გასხლულია ამდენივე. დადებით მხარეთ ვენახების მდგომარეობაში უნდა ჩაითვალოს კარგი მდგომარეობა ახალ ჩაყრილ ნამყენის ძმ. როტინიანცის ბაღში ($3^1/_2$ დეს.) და ახალივე ჩაყრილ წიდნისა—16000 ცალისა.

### საბაღნარო (паркъ).

წინანდლის საბაღნარო, რომელიც მთელ კახეთის თვალის ჩინათ და სიამაყეთ ითვლებოდა აქამდე,—დღეს უფერულ მდგომარეობაში იმყოფება. ყველა ხეები მუდამ ამწვანებულნი და ბუჩქნარები—გაკაფულია და ჩამოლპმულია საქონლისაგან, უმეტესათ ძროხებისა და თხებისაგან, გაზონები კი ყველგან ათხრილია ღორებისაგან. საბაღნაროში თავისუფლათ დათარეშობენ გარეშე უცხო პირნიც, რაც განსაკუთრებით მებაღის დაუდევრობას უნდა მიეწეროს.

### ღვინის სარდაფი.

ღვინის სარდაფის სამუშაოსაც დაუგვიანებია უმთავრესათ ღვინის გადაღებაში, რასაც არ შეიძლება არ იქონიოს გავლენა ღვინის ღირსებაზე, ეს აიხსნება სამუშაო დროს დაუსისტემოთ წარმოებაზე, ვინაიდან სარდაფის მუშები ზოგჯერ საბუთიანათ და ხშირათ უსაბუთოთ სტოვებდენ სამუშაოს და ამ გარემოებას კი დიდი გავლენა ჰქონდა მუშაობის დაგვიანებაში. ღვინის დაკლებასაც სარდაფში ადგილი ჰქონია, რაც აიხსნება დაუდევრობით სარდაფის უფროსი გამგისა, ვინაიდან სარდაფში უცხო გარეშე პირთაც ჰქონიათ მსვლელობა.

### ინვენტარი.

მამულის ინვენტარიც ცუდ მდგომარეობაშია. საქონელი არ არის მოვლილი, ეტყობა უპატრონოთ ყოფილა დატოვებული. აკლია ჭურჭელიც. ზოგიერთი ძვირფასი ჭურჭელი აღმოჩნდა შეცვლილი დაბალ ხარისხოვან ჭურჭელზე.

### მუშათა საკვების საქმე.

მუშათა საკვების საქმეც არა რაციონალურ პირობებში ყოფილა ჩაყენებული. ამ საქმეს განაგებენ რწმუნებულნი და მამულის ადმინისტრაციის მხრივ არავითარი კონტროლის გაწევა არ სწარმოებს, მიუხედავათ იმისა, რომ ეს საქმე ფაქტიურათ ამ მამულების ხარჯით სწარმოებს. უსისტემოთ ამ საქმის წარმოების გამო მოხდა, რომ 1 თებერვლისათვის მუშათა საკვებ საქმემ ვალი დაადო ამ მამულების გამგეობას დაახლოებით 59,595 მანეთამდე.

### მუშათა ორგანიზაცია.

წინანდლის სახელმწიფო მამულების მუშათა ორგანიზაცია ძლიერ ჩამორჩენილა თავის პირდაპირ დანიშნულებას და დაუკარგავს ყოველივე ნასახი პროფესიონალურ ორგანიზაციისა, რაც გამოიხატება იმ ფაქტებში, რომ მას ხელში ჩაუგდია თითქმის მთელი ადმინისტრატიული უფლებანი და ტერორ ქვეშ დაუყენებია არამც თუ მამულების გამგენი, არამედ ყველა მოსამსახურენიც კი ამავე მამულისა. თვით შეგნება მათ შორის ძლიერ უმდაბლეს საფეხურზეა დაყენებული და იშვიათია მათ შორის ნაყოფიერი და საქმის სასარგებლო პიროვნებანი.

### მამულის საერთო მდგომარეობა.

საერთოთ მამულში ნებსით თუ უნებლიეთ ეტყობა მტკიცე და მთლიან ადმინისტრატიულ ძალის უქონლობა და სრული ანტაგონიზმის გამეფება მამულის მსახურთა და მუშათა შორის და სიძულვილი, რის გამო ფართე ნიადაგი მისცემია ყოველგვარ დემაგოგიას, რის გამო ამ მამულს ესოდენი ზიანი მისცემია.

### ზომები.

კომისიის ფიქრით, ყველა ამ ნაკლის თავიდან ასაცდენათ საჭიროა დაუყონებლივ საქმის მოსაწესრიგებლათ ამ მამულში დანიშნულ იქმნეს გამგეთ მტკიცე ნების პატრონი და ადმინისტრატიულ ორგანიზატორულ ნიჭით აღჭურვილი პიროვნება, რომელიც ფართე უფლებებით უნდა იყოს რწმუნებული. საერთო მეურნეობის საქმეც ამნაირ პიროვნების დანიშვნის შემდეგ უსათუოდ გამოკეთდება. გარდა ამისა ამ მამულის ზოგიერთ მოსამსახურე პირთა გადანიშვნით სხვა და სხვა თანამდებობებზე მოხდება აგრეთვე მუშათა შორის საღი ორგანიზაციის შექმნა, რაც დიდ სარგებლობას მოუტანს საერთო საქმეს

### მინისტრის ბრძანება

მიწათ მოქმედების მინისტრმა ბ. ხომერიკმა მოისმინა რა ეს მოხსენება, უპირველეს ყოვლისა ბრძანება გასცა, რომ მიწათ-მოქმედების სამინისტროს სახელმწიფო ეროვნული მამულების სექციის გამგე ე. გ. რამიშვილი დანიშნულ იქმნეს წინანდალის სახელმწიფო ეროვნული მამულების მოურავათ და მასვე მიენდოს საგანგებო რწმუნების უფლებანი ამ მამულის დაძაბუნებულ მეურნეობის აღსადგენათ.

# შინაგან საქმეთა სამინისტროში

### დუშეთის მაზრაში.

შინაგან საქმეთა სამინისტროში მოსულ ცნობებით დუშეთის მაზრაში ამჟამათ დიდი ანარქიაა, რაც ქურდობაში ძარცვა-გლეჯაში ავაზაკობა და მკვლელობაში გამოიხატება. ადგილობრივი ადმინისტრაცია არავითარ ზომებს არ იღებს და არ ცდილობს ებრძოლოს ზემო აღნიშნულ ბოროტებას. ეს მოვლენა იმით აიხსნება, რომ ადგილობრივი ადმინისტრაცია ფრიად უვარგისია.

### ლტოლვილნი.

ბორჯომიდან შინაგან საქმეთა სამინისტროში მიღებულია შემდეგი დეპეშა:

ბორჯომში თავს იყრიან აყარებული ლტოლვილები. მთავრობის წარმომადგენელს ლტოლვილთა საკითხის შესახებ საშუალება არა აქვს მათი მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. გთხოვთ გვაცნობოთ სად გადავიყვანოთ, ვინაიდან ბორჯომში შენობები მოსულ ჯარის ნაწილებისათვის არ არის საკმარისი. მათი მოუწესრიგებლობიდან მოსალოდნელია ეპიდემიის გაჩენა. გთხოვთ განკარგულება მოახდინოთ, რომ შექმნილ იქნეს ადმინისტრაცია, რომ ახალციხისკენ წაწევის დროს ადმინისტრაციამ დაიკავოს ჯარის უკანა რაიონები. ეხლა აქ არის ახალქალაქის მილიცია 90 კაცამდე, რომელთაც უფროსი არა ჰყავთ.

კვინიტაძე.

# სამხედრო სამინისტროში

### აფიცრები სამართალში.

სამხედრო მინისტრის ბრძანებით პირველ შავიზღვის ნაპირის პოლკის პორუჩიკი კალანდია, ვახმისტრი ბუკია და პორუჩიკი ჭანტურია გადაყენებულ იქმნენ თანამდებობიდან და სამხედრო სამართალში მიეცენ სამსახურში ბოროტმოქმედების ჩადენის გამო.

# ფოსტა-ტელეგრაფი

### საქართველო-ადარბეიჯანი-სომხეთი.

თანახმად დადებულის კონვენციებისა მომავალ მარტის პირველიდან დაწესებულ იქნება ფოსტა-ტელეგრაფის ნორმალური ურთიერთობა საქართველოსა, ადერბეიჯანსა და სომხეთის რესპუბლიკათა შორის.

---

# არჩევნების გარშემო

### არჩევნების შედეგი ქუთაისის მაზრაში

ქუთაისის მაზრაში, ქალაქებს გარდა, საერთო რიცხვი ამომრჩევლებისა უდრიდა—99551. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო—58216 ამომრჩეველმა. აქედან № 1—48082. № 2—5663, № 3—1598, № 5—2382, № 7—2, № 8—317, № 9—167, № 11—15, № 13—5.

### ოქმების დამტკიცება.

დამფუძნებელ კრების ცენტრალური საარჩევნო კომისია 25 თებერვალს შეუდგა საქართველოს საქალაქო და სამაზრო არჩევნების ოქმების განხილვას და ხმების დათვლას. კომისიამ დაიწყო ჯერ ქალაქებიდან მიღებულ ოქმების განხილვა, რომლის შემდეგაც განიხელს სამაზროების არჩევნების შედეგს.

### გორის მაზრაში.

დამფუძნებელ კრების ცენტრალურ საარჩევნო კომისიამ მიიღო გორის მაზრიდან არჩევნების შედეგი. ამ მაზრაში არჩევნებში მონაწილეობა მიუღია სულ 76.409 ამომრჩევლებს. № 1 მიუღია 73.822 ხმა, № 2—272, № 3—65, № 4—8, № 5—2 121, № 7—21, № 8—78, № 9—1, № 11—13, № 13—5 ხმა.

---

# მუნიციპალური ცხოვრება

### სასურსათო განყოფილების გაუქმება.

ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება მომავალ მარტიდან გაუქმდება. ამ განყოფილების გამგემ გ. გ. აიოლლომ ქალაქის მოურავის მოადგილეს გ. გ. კონიევს თხოვნა მისცა ამ თანამდებობისაკან განთავისუფლების შესახებ ქალაქის გამგეობამ დაადგინა ბ-ნ აიოლლო განთავისუფლებულ იქმნას პირველ მარტიდგან და მიეცეს მას სალიკვიდაციო.

### სარევიზიო კომისიაში.

ქალაქის საბჭოს მიერ ამორჩეულმა სარევიზიო კომისიამ თავის თავმჯდომარედ ამოირჩია კალისტრატე გოგუა.

### ფასის მომატება ტრამვაის ბილეთებზე.

ქალაქის საბჭომ დაამტკიცა გამგეობის მოხსენება ტრამვაით მიმოსვლაზე დაწესებულ ფასების მომატების შესახებ. პირველ მარტიდან 30 კაპ. ბილეთი ათ შაურათ გაიყიდება, 45 კაპეიკიანი ბილეთი—თითო მანეთათ და 75 კაპ. ბილეთი გაიყიდება 1 მან. 50 კაპ.

### სახადთან ბრძოლა.

სახადთან საბრძოლათ ქალაქის გამგეობამ შემდეგი ექიმები მოიწვია: ა. ი. ქუთათელაძე, ი. კ. გუბარიოვი, ი. ვ. ხოჭოლავა, ნ. მ. ტერტეროვი, პ. კ. როდზევიჩი და დ. პ. იოსელიანი.

### ქალაქის დეფიციტი.

ქალაქის გამგეობამ მოიწონა გამგეობის უფროს ბუხგალტერის მოადგილე ბ ნ ჯანაღოვის მოხსენება ქალაქის ფინანსიური მდგომარეობის შესახებ. ამ მოხსენებიდან სჩანს, რომ 1 იანვრამდე 1920 წ. ქალაქის დეფიციტი შეადგენს 36,340,676 მან.

---

# თეატრი და მუსიკა.

### ივ. სარაჯიშვილის ბენეფისი.

დღეს სახელმწიფო თეატრში გაიმართება ცნობილ მომღერალ ივ. სარაჯიშვილის პატივსაცემლად ბენეფისი. ქართველი საზოგადოება და ჩვენში მყოფნი უცხოელებიც კი კარგად იცნობენ ვანო სარაჯიშვილის შემოქმედებითი ნიჭს და ამისათვის მისი ნიჭის დასახასიათებლად სიტყვას არ გავაგრძელებთ, ვიტყვით მხოლოდ, რომ სიმღერები და საერთოდ მუსიკა დამახასიათებელი თვისება იყო წარსულში ჩვენი ერისა; წარსულში ჩვენი ერი არამც თუ სასიამო მოვლენას, მწუხარებასაც კი მუსიკა-სიმღერებში აქსოვდა—სიმღერით სტიროდა, სიმღერითვე იცინოდა; სწორედ ჩვენი ეროვნული სიმღერების ერთი საუკეთესო გადამახალისებელია ვანო სარაჯიშვილი; ის ღრმად ჩასწვდა ჩვენი ეროვნულ სიმღერებს, გაამშვენიერა ის და ატკბობდა საზოგადოებას მთელი რიგი მუსიკალურ ჰარმონიით აღსავსე სიმღერებით.

დღეს, ჩვენი ეროვნულ [...] თეულ დარგში ახალი [...] ამისათვის დღეს უფრო საჭიროა [...] შვილები.

დარწმუნებული ვართ დღეს ვ. სარაჯ[...] ლის საპატივცემლოდ გამართულ ბენ[...] ქართული საზოგადოება დაესწრება და[...] მოუჩენს თავის საყვარელ მომღერალს[...] გორც მორალურ, ისე მატერიალურ [...] რებას.

---

ქართული სამუსიკო საზოგადოება [...] 2 მარტს დილის 12 საათზედ, კონსერ[ვატო]რიის დარბაზში ჰმართავს მოწაფეთა [...] შემოსავალი გადაიდება ქართულ სამ[...] სკოლის ღარიბთა მოწაფეთათვის.

---

სამშაბათს, სახელმწიფო თეატრში [...] რეთ დაიდგა ზ. ფალიაშვილის ოპერა [„აბე]სალომ და ეთერი". თეატრი ხალხით [...] დილი იყო. ამავე საღამოს აღინიშნა [ფა]ლიაშვილის 25 წლის მოღვაწეობის შესრ[ულე]ბის დღე. იუბილიარს ადრესები და [...] ბი მიართვეს. საზოგადოებამ ოვაციებ[ი გა]მართა. მთავრობამ იუბილიარი დააჯილ[...] და ამასთან ერთად დახმარების სახი[თ] ათასი მანეთი გადასცა. (ამოდენივე [...] გადაეცა ბ. არაყიშვილს). ქართულ ოპ[ერა]ში მუშაობისათვის რუსულ ხორის და[...] მომღერლებს თეატრის კომისარმა ბ. [...] ნავამ მადლობა გადაუხადა. საზოგადოე[ბამ ...] შით შეხვდა და მხურვალეთ მიესალმ[ა ...] ლიპსკის, მაროზოვას, ხორის და სხ.

---

# პროვინციაში

◯ გევმა ქუთ. მაზრის თერთმეტ სა[...] ვებლო უბნებად დაყოფისა.

1. ბაღდათის კამერა ს. ბაღდათში; [...] გადოებანი: ბაღდათის, ზეკარის, დიმ[...] ნაველ[...]ის და სადემეტრიოს.

2. ამაღლების კამერა ს. ამაღლებაში; [...] ზოგადოებანი: ამაღლების, გორის და [...] თის.

3. მუხაყრუას კამერა—ს. მუხაყრუაში; [...] ზოგადოებანი: მუხაყრუის, ტობანიერის [...] გამოჩინებულის.

4. ვანის კამერა—ს. ვანში; [...] გადოებანი: ვანის, დვალიშვილების და [...] ჰაოს.

5. სამტრედიის კამერა—ქ. სამტრედ[იაში ...] საზოგადოებანი: ქ. სამტრედიაში და [...] შის საზოგადოება.

6. დიდი ჯიხაიშის კამერა—ს. დ. ჯიხ[აიშში ...] საზოგადოებანი: ჯიხაიშის, იანეთ-[...] ლანირ-ქვიტირის.

7. ხონის კამერა—ქ. ხონში: საზოგად[ოებანი ...] ქ. ხონი, კუხის, ნახახულევის და გო[...] საზოგადოებანი.

8. მუხიანის კამერა—სად. მუხიანაში; [...] ზოგადოებანი: ფარცხანაყანევის, [...] პატრიკეთის, და ქვედა და ზედა მაღლ[აკის].

9. სვირის კამერა—სად. სვირში; [...] დოებანი: სვირის, ოფჩის და სიმონეთის.

10. ხრესილის კამერა ს. ხრესილში [...] გადოებანი: საწირის, გურნის, მანდიკორ[...] კურსების.

11. ქუთაისის კამერა ქ. ქუთაისში; [...] გადოებანი: ჰოგნარის, ოფურჩხეთის, რო[...] წყალტუბოს და ქვიტირის.

◯ ქუთაისის მაზრის ხმოსანთა მესამე [კრე]ლობა, რომელიც დანიშნულია 5 მარტ[ს ...] განსახილველია შემდეგი საკითხები: [...] გებელი მოსამართლეების და მისი საბ[ჭოს] წევრების არჩევა, წვრილი საერობო ერ[...] ლების ხმოსანთა გაისაზღვრა და არჩევ[ნების] დღის დანიშვნა.

◯ ერობათა წარმომადგენლების ყრი[ლო]ბაზე დასასწრებლათ ქუთაისის სამაზრო ერობო გამგეობამ გაგზავნა გამგეობის [თავ]მჯდომარის ამხანაგი გრ. სოლომაშვილ[ი].

◯ ქალაქის საბჭომ 21 თებერვლის [სხდო]მაზე დაადგინა, რომ ახალი საბჭოს არჩ[ევნე]ბის დროს მთელ ქალაქში დაიდგას თ[...] მეტ ადგილას ყუთი, სადაც უნდა მ[...] ხმის მიცემა.

ქალაქის საარჩევნო კომისიის წევ[რებად] არჩეულ იქნენ შემდეგი პირები ვ. კ[...] ს. კილაძე, ვლ. ქუთათელაძე, პ. თალ[...] და ვ. იმნაძე.

◯ ქალთა უფასო სასწავლებლის ყ[...] გამგე რუბანის ასულის დასახმარებლათ [ქუ]თაისის ქალაქის საბჭომ ერთდროულათ [გა]დასდო 3000 მან.

◯ 21 თებერვალს სამაზრო ერობამ [...] რა სამტრედიის და ხონის საერობო [...] გზები თვისი ხიდებით და მოწყობილ[...]

◯ საქონლის ჭირთან საბრძოლველო [...] ტის დამზადება სისწრაფით სწარმოებს. [...] თაისის მაზრის ერობას, ქუთაისის გუბ[ერნიის] სხვა და სხვა მაზრებიდან მოდის [...]

ქრის დასამზადებლათ სისხლის გამოსართ-მევთ.

ქუთაისის სამაზრო საერობო გამგეო-ბას გადაწყვეტილი აქვს ჯერ-ჯერობით ქუ-თაისის მაზრის მცხოვრებთათვის აგრონომი-ული დახმარების აღმოსაჩენათ მოიწვიოს სა-მი უმაღლეს სწავლა დამთავრებული აგრონო-მი, ამავე გამგეობის დადგენილებით ამავე მაზრის მცხოვრებთათვის საბეითლო დახმა-რების აღმოსაჩენათ მოწვეულ იქნება სამი ბეითალი. აგრონომების და ბეითლების რიცხ-ვი თანდათან გაიზრდება.

22 თებერვალს ქუთაისის მაზრის ერო-ბის გამგეობის წევრი გ. ფალავანდიშვილი საგუბერნიო სამართველოს ინჟინერებთან ერ-თად გაემგზავრა გელათში გელათის საერობო შარა-გზის ჩასაბარებლათ.

# ქრონიკა

შაბათს, 1 მარტს გამოვა ყოველდღიური გა-ზეთ „მილიციის“ პირველი ნომერი. გაზეთის მიზანია მილიციის კულტურულად ამაღლება და ეკონომიურად უზრუნველყოფა. გაზეთში მონაწილეობენ დამსახურებული ჟურნალისტე-ბი. სარედაქციო კოლეგიის რომელიმე წევ-რის ნახვა შეიძლება მე-8 სამილიციო კომი-სარიატში დილის 9 სათიდან 3 საათამდე.

25 თებერვალს ღამით ფარხალაძის ბი-ნიდან (ციციკის ქ. № 43) ბოროტ-განმზრახვე-ლებმა 3422 მ. ფულათ და სხვა და სხვა ნივ-თები მოიპარეს.

25 თებერვალს ღამით პოლკ. გლამო-ლიევის ბინიდან (საპიორის ქ. № 34) პოლ-კოვნიკის შინ არ ყოფნის დროს 15,000 მან. ფულათ და სხვ. და სხვ. ნივთები მოიპარეს.

25 თებერვალს ღამით მილიციონერებმა ნავთლუღის სადგურთან ორი მოკლულის გვა-მი აღმოაჩინეს, ამავე დღეს მილიციელებმა ორთავის მოედანზე 2 მოკლულის გვამი აღ-მოაჩინეს. მოკლულთა ვინაობა ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

კავკავიდან მიღებულ ცნობით ბოლშე-ვიკებს როსტოვი აუღიათ და ეკატერინოდა-რისკენ მიიწევენ.

ვანის 4 კლ. ახალი ტიპის სასწავლებე-ლი და უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავ-ლებლები განათლების სამინისტროს განკარ-გულებით ერთ სასწავლებლად გადაკეთდა და ეწოდა ვანის 8 კლასიანი სრულ-უფლებიან ერთო ქალ-ვაჟთა გიმნაზია.

რედაქციამ მიიღო ახლად გამოცემული სახელმძღვანელო წიგნი ალ. წერეთლისა: „მსოფლიო ისტორია“. დაწყებითი კურსი. ნაწილი მეორე. „საშუალო საუკუნოები“. წიგნი ღირს 2 მან. 15 შაური.

რედაქციამ მიიღო მეტად საინტერესო წიგნი რუსულ ენაზე გამოცემული: «Документы и матеріалы по внѣшней политикѣ Закавказья и Грузіи» წიგნი შეიცავს 512 გვერდს. დაბეჭდილია სუფთად კარგ ქაღალ-დზე და ღირს 35 მანეთი.

ადგილობრივ გაზეთების გადმოცემით — სახელმწიფო კონტროლში დაიკარგა 52.000 მანეთი. ეჭვით შეიპყრეს ხაზინადარი ბაქრაძე. გაზეთებში ბაქრაძის სახელი არ არის ნახ-სენები.

ვინაიდან საზოგადოება იცნობს ვალერიან (ვალიკო) ბაქრაძეს, როგორც სახელმწიფო კონტროლის მოსამსახურეს, ამიტომ საზოგა-დოება შეცთომაში შედის და ფიქრობს, რომ ეს ვალერიან (ვალიკო) ბაქრაძე არის ეჭვით დატყვევებული.

ტფილისის სახელმწიფო მოსამსახურეთა კავშირის საბჭოს საინფორმაციო ბიურო ამით აუწყებს ფართო საზოგადოებას, რომ ყოფილი რკინის გზის ქართველ მოხელეთა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის წევ-რი, სრულიად საქართველოს ქართველ მოხე-ლეთა კავშირის მთავარ საბჭოს თავმჯდომა-რის ამხანაგი და დღეს ტფილისის სახელმ-წიფო მოსამსახურეთა კავშირის საბჭოს წევ-რი ვალერიან (ვალიკო) ბაქრაძე არასოდეს არ ყოფილა სახელმწიფო კონტროლის ხაზი-ნადრად (არამედ იგია სახელმწიფო კონტრო-ლის ფაქტიური რევიზორი) და არც ოდესმე მას ჰქონია ჩაბარებული კონტროლის ფულე-ბი და მას ზემოაღნიშნულ ფულის დაკარგ-ვასთან არავითარი კავშირი არა აქვს.

ეჭვით შეპყრობილია სახელმწიფო კონტ-როლის ხაზინადარი (მდივანი) ვინმე ლუკა ბაქრაძე.

ტფილისის სახელმწიფო მოსამსახურეთა კავშირის საბჭოს საინფორმაციო ბიურო.

## განცხადებანი

მიხეილ დავითის ძე ელიავა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების შესახებ, მიცემული ქუთა-ისის სამხედრო უფროსისაგან, რაც გაბათი-ლებულად უნდა ჩაითვალოს. 3—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1919 წ. თებერვა-ლის 11-ს დამტკიცებულია, 1918 წ. ნოებრის 26 შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლი-თაც ჯიგო და ვასილ ოქროპირისძეთ მებუკე-ებმა 10000 მან. მიჰყიდეს იაკობ ნიკოს ძე ვა-რაზაშვილს მიწის ნაჭერი შენობებით ქ. ქუ-თაისში, პოდეზდის ქუჩაზე, ზომით აღმ.—2 და $^{91}/_{100}$ საჟ. დასავ. 3, 37 საჟ. ჩრდ. 12 საჟ. სამხრ 10,80 საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 400 მან. მთავარი ამონაწერი 50 მან. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მი-ცემულია 1919 წ. თებერვლის 11-ს. 278 1—1

ქ. ტფილისის მესამე მომრიგებელ განყო-ფილების მოსამართლე იწვევს გარდაცვალე-ბულ მიხეილ იოსების ძე ჟურულის მემკვიდ-რეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლე-ბა ჟურულის ქონებაზე მე-1241 მუხ. აღნიშ-ნულ ვადაში. 269 1—1

ქ. ტფილისის მესამე მომრიგებელ განყო-ფილების მოსამართლე იწვევს გარდაცვალე-ბულ ზაქარია გრიგოლის ძე ბიბილურის მემკ-ვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ბიბილურის ქონებაზე მე-1241 მუ-ხლით აღნიშნულ ვადაში. 245 1—1

1918 წ. ნოემბრის 28-ს, ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტ-კიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც აბელ ივანეს ძე ამირაგოვმა 10,000 მან. მიჰყიდა მარიამ ავაკის ასულს სურეპიანცს მამული 1 უბანში, ვერაზე ქალაქ. №№ 242, 242ა, 242ა-1, რომელიც შეიცავს მარიამ სურეპიან-ცის ამ ადგილთან განუყოფელ ადგილას ნახე-ვარს ზომით 4107 ოთხ. საჟ. სიმტკიცის გა-დასახადათ მიღებულია 404 მ. 68 კ. მთავარი ამონაწერი 55 მან. ღირებულობის სალერბო ქაღალდზე. 24 1—1

1918 წ. დეკემბრის 5-ს, ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტ-კიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც კონო-ნი იოსების ძე სამადოვმა 3.000 მან. მიჰყიდა აიკანუშ ალექსანდრეს ასულს უმბრიანცს მა-მული ქ. ტფილისში მე-5 უბ. ქალაქ. № 747, რომელიც შეიცავს მიწის ნაჭერს შენობებით, ზომით 40 ოთხკ. საჟ. 25 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1919 წ. თებერ-ვლის 12-ს დამტკიცებულია, იმავე წლის იანვრის 23-ს შედგენილი ნასყიდობის სიგე-ლი, რომლითაც სიმონ ნიკოლოზის ძე ლორ-თქიფანიძემ 10.000 მან. მიჰყიდა აკაკი მიხე-ილის ძე ჯავახაძეს მიწის ნაჭერი შენობებით ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, ზომით 32,5 ოთხკ. საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებუ-ლია 400 მ. მთავარი ამონაწერი 50 მან. ღი-რებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია 1919 წ. თებერვლის 12 ს. 279 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1919 წ. თებერვა-ლის 17-ს დამტკიცებულია, 1918 წ. დეკემ-ბრის 28-ს შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც გრიგოლ თედორეს ძე, იგივე ილიას ძე ინანეიშვილმა, აგრაფენა თედორეს ასულმა, იგივე ილიას ასული, და ბარბარე თედორეს ასულმა, იგივე ილიას ასულმა დო-ლონაძემ 600 მან. მიჰყიდეს გედევან ანტონის ძეს და მის ცოლს მარიამ კაციას ასულს ნარ-ჩომაშვილებს მიწის ნაჭერი ქ. ქუთაისში, მესხეთის ქუჩის შესახვევში, ზომით 132 ოთხკ. საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 58 მან. მთავარი ამონაწერი 7 მ. 50 კ. ღი-რებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია 1919 წ. თებერვლის 17. 281 1—1

სისხ. სამ. საქ. წარმ. მე-846, 847, 848 და 851 მუხ. ძალით, ტფილისის ოლქის სასა-მართლოს დადგენილებით, ეძებენ მართა ანოშკინას, რომელსაც ბრალი ედება სასჯ. დებ. მე-1657 მუხ. თანახმად.

ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ანოშ-კინი, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება ანოშკინას ქონება, ვალდებული არიან დაუყონებლივ შეიტანონ საოპეკუნო სამმართველოში. 285 1—1

ქ. ტფილისის მესამე მომრიგებელ განყო-ფილების მოსამართლე იწვევს გარდაცვალე-ბულ ადამ გიორგის ძე როდომაშვილის მემ-კვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება როდომაშვილის ქონებაზე სამ. კან. კრებ. X ტ. I 6. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადა-ში. 256 1—1

ალექსანდრე და მიხეილ ივანეს ძე ნაზა-როვების რწმუნებული ნაფ. ვექილი ხაჯამი-რიანი სოფიო გურამოვას უჩივის 1229 მან. რის გამოც მოპასუხე სოფიო გურამოვა მიწ-ვეულია ქ. ტფილისის მეორე მომრიგებელ განყოფილებაში სამ. კან. კრებ. 293 და 309 მუხ. აღნიშნულ 4 თვის ვადაში. ამ ვადის განმავლობაში მოპასუხე უნდა გამოცხადდეს სასამართლოში პირადათ ან მისი რწმუნებუ-ლი, წინააღმდეგ შემთხვევაში მომჩივანის თხოვნით დაინიშნება სხდომა სამ. საქ. წესდ. მე-320 მუხ. თანახმად. 139 1—1

სოხუმის ოქის სასამართლოს უფროსი ნო-ტარიუსი აცხადებს, რომ სოხუმის მომრიგე-ბელ მოსამართლის 1918 წ. სექტემბრის 4 მოწერილობის № 1355 თანახმად, ყადაღა, რომელიც დადებული იყო ივანე ივანეს ძე ენიუტინის უძრავ ქონებაზე და რომელიც აღნიშნული იყო ქ. სოხუმის 1913 წ. ყადა-ღათა კრებულში მე-173 №-ით—გაუქმებუ-ლია. 1918 წ. ყადაღათა კრებული № 44.
1252 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნო-ტარიუსი აცხადებს, რომ სოხუმის მომრიგე-ბელ მოსამართლის 1918 წ. აგვისტოს 13-ს მოწერილობის № 1213 თანახმად, ყადაღა, რომელიც დადებული იყო მოსე იოსების ძე გაგუას უძრავ ქონებაზე, და რომელიც აღნიშ-ნული იყო ქ. სოხუმის 1913 წ. ყადაღათა კრებულში მე-254 №-ით—გაუქმებულია. ქ. სო-ხუმის 1918 წ. ყადაღათა კრებული № 41.
1255 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. ნოემ-ბრის 9 ს დამტკიცებულია, იმავე წლის ოქ-ტომბრის 26 ს სოხუმის ნოტარიუს ზაგრაის-კისთან შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რო-მლითაც ირინე, პახვას ასულმა იოსელიანმა 25,000 მან. მიჰყიდა აკაკი ტიმოთეს ძე კვან-ტალიანს მიწის ნაჭერი ქ. სოხუმში ზღვის ქუჩაზე, ლოტ. „6“ № 5, ზომით 273 ოთხკ. საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 1000 მან. სალერბო 125 მან. 1248 1—1

სისხ. სამ. საქ. წარმ. მე-846, 847, 848 და 851 მუხ. ძალით, ტფილისის საკანგებო სასა-მართლოს დადგენილებით, ეძებენ სოფ. ნო-ღის, აბაშის საზოგად. ქუთაის. გუბ. მცხოვ-რებს ბართლომე დავითის ძე ბოცვაძეს, ნიშ-ნები: შუატანისაა, 52 წლისა, თეთრი სახე წვერი და ულვაში ქალარა, ჩოხა აცვია. ყვე-ლა, ვინც იცის სად ცხოვრობს ბოცვაძე, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. და-წესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება ბოცვაძის ქონება, ვალდებული არიან დაუყონებლივ შეიტანონ საოპეკუნო სამმართველოში. 176 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნო-ტარიუსი აცხადებს, რომ მისი 1918 წ. დე-კემბრის 6-ს გადაწყვეტილების თანახმად, ყადაღა, რომელიც ითვლებოდა იოსებ კარა-პეტის ძე ალმაზოვის უძრავ ქონებაზე და აღნიშნული იყო ქ. სოხუმის 1899 წ. ყადაღათა კრებულში 1 №-ით, გაუქმებულია. 1918 წ. ყადაღათა კრებ. № 100. 1394 1—1

ქუთაისის სამიტროპოლიტო საბჭო ამით აცხადებს, რომ ოქტომბრის დამლევ რიცხვებში ქუთაისის ეპარქიის ფუთის წმ. გიორგის ეკ-ლესიის მღვდელს დაუკარგავს საეკლესიო ბე-ჭედი, რომელიც გაუქმებულად უნდა ჩაით-ვალოს, ხოლო მნახველს ევალება გამოგზავნოს იგი ქუთაისის სამიტროპოლიტო კანცელარია-ში გასაბათილებლად. 317 3—1

ქალაქ ქუთაისის სამომრიგებლო განყოფი-ლების მომრიგებელი მოსამართლე იწვევს პო-რფირი სერაფიონის ძე იაშვილის მემკვიდ-რეებს, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება იაშვილის დარჩენილ ქონებაზე 1241 მუხლის ძალით აღნიშნულ ვადაში. 258 1—1

ქუთაისის მაზრის მომრიგებელი მოსამართ-ლე იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულის მცხოვრების სოფ. ბაში, ქუთაისის მაზრა, არ-ტემ ანდრიას ძის ნაცვლიშვილისას, რათა განაცხადონ თავის მემკვიდრეობის უფლება, ექვსი თვის განმავლობაში, იმ ქონებაზე, რო-მელიც დარჩა ხსენებულ ნაცვლიშვილს თანა-ხმად 1241 მუხლის მეათე ტომისა, სამოქალა-ქო დებულებისა. № 260 1—1

საყოველთაოდ ცხადდება, რომ ტფილისის ოლქის სასამართლოს, 16 იანვრის 1919 წლის დადგენილებით კოოპერატიულ საზოგადოება-თა და კავშირთა რეესტრში შეტანილ იქმნა კოოპერატიული საზოგადოება „კახეთი“. 242 3—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. [illegible]-ბრის 13-ს დამტკიცებულია, 1918 წ. [illegible]-ბრის 6-ს შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომელთაც სოფიო ალექსანდრეს ასულმა მინინამ იგივე შამბომ 14000 მან. მიჰყიდა ალექსი კირილეს ძე შამბოს მიწის ნაჭერი შენობებით ქ. სოხუმში, ეკატერინესა და ქარხნის ქ. კუთხეში, ლოტ. „კ“, № 4, ზო-მით 360 ოთხკ. საჟ.

სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 916 მან. მთავარი ამონაწერი 114 მან. ღირებუ-ლების სალერბო ქაღალდზე მიცემულია.
1400 1—1

ალექსანდრა გიორგის ასული ვარძელაშ-ვილი აცხადებს, რომ მას 1917 წლის 11 დე-კემბერს შემდეგ არავითარი ცნობა არ მიუ-ღია თავის ქმარისგან, ნიკოლოზ ესტატეს ძე ვარძელაშვილისგან (გვარძელოვიდგან) რომე-ლიც იმყოფებოდა ქალ. ხარბინში. ვინც კი რაიმე იცის ამ პირის შესახებ, უმორჩილესად სთხოვენ შეატყობინონ პატრონს, შემდეგი მი-სამართით: გორი, გიორგის ქუჩა, ალექსანდ-რა ვარძელაშვილს, ან ტფილისში ანდრიას ქუჩა № 17, ვასილ ესტატეს ძე ვარძელა-შვილს. 271 2—2

ტფილისის ოლქის სასამართლოს ბოქაული მ. ბეზჯროვნი აცხადებს, რომ 1919 წ. მაისის 3-ს, დილის 10 საათზე, იმავე სასამართლო-ში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა გიორგი იოსების ძე ჩხეიძის, იგივე ძიამის უძრავ ქო-ნებაზე. ქონება იყიდება დანიელ მიკირტი-ჩის ძე ჯანოევის ვალის დასაკმაყოფილებ-ლად, რომლისაც ჯანოევს მართებს 500 მან. და 83 მ. 33 კ. თვეში 1917 წ. იანვრის 7-დან. მამული მდებარეობს ქ. ტფილისში, მე-ორე უბანში, ჭავჭავაძის ქუჩაზე, თიონეთის შესახვევი № 1 და შეიცავს სამ მეთოთხმე-ტედ სამ სართულიან ქვის სახლისას, რომე-ლშიაც ზევით და შუა სართულში რვა-რვა ოთახია 3 სამზარეულოთი და ქვემო სართუ-ლში 3 ოთახი სამზარეულოთი და ცალკე ერთი დუქანი 3 ოთახით და სამზარეულოთი, ეზოთი, დაახლოვებით 292 ოთხკ. საჟ. ეს მამული მთლად დაგირავებულია ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკში 24000 მან. და გა-საყიდი ნაწილი კი შეფასებულია 5000 მან. ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად საჭი-როა საწინდარის წარმოდგენა ერთი მეათედი ფასისა. მამულის აწერილობის და ყველა საბუთების ნახვა შეიძლება სასამართლოს კან-ცელარიაში.

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1919 წ. თებერ-ვლის 12-ს დამტკიცებულია, 1918 წ. ოქტო-მბრის 9-ს შედგენილი, ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ლუარსაბ გიორგის ძე ფხაკაძემ 2250 მან. მიჰყიდა ანა ლუარსაბის ასულს და ბორის ნიკოდიმის ძე ზნამენსკებს და ეკატე-რინე ზნამენსკებს და ეკატერინე ლუარსაბის ასულს და კალისტრატე ლევანის ასულს შა-რაშიძეს მიწის ნაჭერი შენობებით ქ. ქუთაი-სში, ძველ ლაგერის ქუჩაზე, ზომით აღმ. და დასავ. ათ-ათი საჟ. ჩრდ. 18 ნახევარი საჟ. სამხრ 18 ნახევარი საჟ. სიმტკიცის გადასა-ხადათ მიღებულია 90 მან. მთავარი ამონა-წერი 11 მან. 50 კ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია 1919 წ. თებერვლის 12-ს. 280 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს ბოქაული მ. ბეზკროვნი აცხადებს, რომ 1919 წ. მარ-ტის 8-ს, დილის 10 საათზე იმავე სასამართ-ლოში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა გარდა-ცვალებულ არტემ მირონის ძე მირიმანოვის უძრავ ქონებაზე გრიგოლ და გევორქ ნერსე-სის ძე ახვერდოვების ვალის დასაკმაყოფი-ლებლად, რომელიც შეადგენს 12000 მან. და პროცენტები და ხარჯებით 546 მან. 65 კაპ. მამული მდებარეობს ქ. ტფილისში მე-8 უბა-ნში, ბახვალის ქ. № 16 და შეიცავს ორ სა-რთულიან ქვის სახლის ერთ მეექვსედს სარ-დაფით, ქვევით სართულში 16 დუქანია და ზევით 15 ოთახი, მიწა ზომით 88 ოთხკ. საჟ. ამ მამულის ერთი მეექვსედი შეფასებულია 22000 მან. ვაჭრობაში მონაწილეობის მისა-ღებად საჭიროა საწინდარი ერთი მეათედი ფასისა. მამულის აწერილობის და სხვ. საბუ-თების ნახვა შეიძლება ყოველ დღე სასამართ. კანცელარიაში. 155 1—1

შ. ალექსი-მესხიშვილი

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. დეკემბრის 6-ს ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის მოწერილობის № 2360 თანახმად, ყადაღა, რომელიც ითვლებოდა ეგნატე ნიკოლოზის ძე ხუბუტიას უძრავ ქონებაზე და რომელიც აღნიშნული იყო ქ. სოხუმის 1912 წ. ყადაღათა კრებულში მე-144 №-ით, გაუქმებულია. ქ. სოხუმის 1918 წ. ყადაღათა კრებ. № 99.
1395 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. დეკემბრის 23-ს დამტკიცებულია, იმავე წლის იანვრის 24-ს შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ელენე მიხეილი ასულმა მალანიმ და ეკატერინე ლევანის ასულმა მალანიმ 1500 მან. მიჰყიდეს ნატალია დიმიტრის ასულს გოგიჯანოვას მიწის ნაჭერი ქ. სოხუმში № 10., ზომით 140,26 ოთხკ. საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 67 მან. 32 კ. მთავარი ამონაწერი 8 მან. 50 კ. ღირებულების სადერბო ქაღალდზე მიცემულია 1918 წ. დეკემბრის 23-ს.
1402 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. დეკემბრის 16-ს, ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის მოწერილობის № 2547 თანახმად, ყადაღა, რომელიც დადებული იყო სოფიო გერასიმეს ასულის, ლუბა და ეკატერინე გერასიმეს ასულთ ალმაზოვების უძრავ ქონებაზე, და რომელიც აღნიშნული იყო ქ. სოხუმის 1916 წ. ყადაღათა კრებულში მე-118 №-ით გაუქმებულია. ქ. სოხუმის 1918 წ. ყადაღათა კრებ. № 103.
1392 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ მისი 1918 წ. დეკემბრის 6-ს მოწერილობის თანახმად, ყადაღა, რომელიც დადებული იყო იოსებ კარაპეტის ძე ალმაზოვის უძრავ ქონებაზე და რომელიც აღნიშნული იყო 1903 წ. ყადაღათა კრებ. მე-13 №-ით, გაუქმებულია. ქ. სოხუმის 1918 წლის ყადაღათა კრებული № 101.
1393 1—1

საყოველთაოდ ცხადდება, რომ სოხუმის ოლქის სასამართლოს 1918 წ. დეკემბრის 30-ს დადგენილებით კოოპერატიულ ამხანაგობათა ნუსხაში მე-5 ნომრით შეტანილია წესდება „სოხუმის ტყავის ქარხნის“, რომელიც დაარსა კონსტანტინე მიხეილის ძე გიგინეიშვილმა, ევგენი ვასილის ძე ბარადატიმ, ივანე ზოსიმეს ძე ცეცხლაძემ და სხვ.
131 1—1

სოხუმის მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე 1918 წ. დეკემბრის 5-ს დადგენილების თანახმად სისხ. სამ. საქ. წარმ. 846 მუხ. ძალით, ეძებს ქ. სოხუმის მცხოვრებს პეტრე კარლოსის ძე იურსონს, რომელსაც ბრალი ედება სასჯ. დებ. მე-29 მუხ. თანახმად.

ყველა, ვინც იცის სად. ცხოვრობს იურსონი, ვალდებულია განუცხადოს სოხუმის მომრიგებელ განყოფილების მოსამართლეს.
1317 1—1

ქ. ტფილისის მესამე მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე იწვევს ტფილისის დეპოს ვაგონების ამწმენდავის გარდაცვალებულ რეინგარტ თავორის ძე ბრანდტის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ბრანდტის ქონებაზე სამ. კან. კრებ. X ტ. 1 ნაწ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში.
131 1—1

სოხუმის მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე 1919 წ. იანვრის 15-ს დადგენილების თანახმად და მე-846 მუხ. ძალით ეძებს ჩულუილარიონის ასულს ჩალიჩავას.

ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ჩალიჩავა ვალდებული არიან დაუყოვნებლივ აცნობონ სოხუმის მომრიგებელ მოსამართლეს.
212 1—1

არარატ იონესის ძე მუგდუსი ავაქოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ტფილისის პოლიცმეისტერის კანცელარიიდან 1911 წლის 13 ივლისის 5594 ნომრით, რაც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.
264 3—2

ტფილისის ვაჭართა ბანკის გამგეობა აცხადებს, რომ ტფილისის ვაჭართა ბანკის სესხის ბარათი 147, აბრამ ისაკის ძე პოლოსოვის სახელზე, დაკარგულია და გაუქმებულად ითვლება.
288 3—2

ალექსი არეფის ძე პონამარიოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი, რომელიც დამტკიცებული იყო ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსის მიერ 1897 წ. თებერვლის 7-ს, რეესტრი № 292 მამულზე, რომელიც მან და მისმა ძმამ ფედოტმა შეიძინეს პოპლოვსკაიდან.
210 3—3

აკოფ ბელკონის ძე აციკოვი აცხადებს რომ მან დაჰკარგა პასპორტი ტფილისის ოლქის სასამართლოდან 21 ივლისს 1914 წელს 8355 ნომრით და ტფილისის პირველ კერძო ლომბარდის ბილეთი № 78140 300 მანეთისა, რაც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.
252 3—3

## სასურსათო განყოფილება
**ქალაქის თვითმართველობისა**

**გადავიდა**

შტაბის ქუჩაზე სასტუმრო „ერმიტაჟის“ შენობაში (ყოფილი ბინა მომარაგების კომიტეტისა).

**სასურსათო განყოფილება**
**ქალაქის თვითმართველობისა.**
331 2—1

**ახალი წიგნი**
დაიბეჭდა და იყიდება წიგნი

## ამიერ კავკასიის და საქართველოს
**საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები და მასალები**

**ფასი 35 მანეთი.** წიგნის საწყობი: მთავრობის სტამბა, კოლოუბნის ქუჩა, № 5.
3—3 302

# საქართველოს სახაზინო რკინის გზათა მართველობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ქვემოდ აღნიშნული საქონელი, გაიყიდება ტფილისის ცენტრალურ საწყობში 28 მაისს 1919 წ. გაუყიდავი საქონელი ხელმეორედ დაინიშნება გასასყიდლად 29 მაისს 1919 წ.

ბ ა გ ა ჟ ი.

ფ ო თ ი—ქიათურიდან № 20313—2 ფ. 30 გ. გადასახადი გზის სასარგებლოდ 3 მ. 20 კ., ტფილისიდან № 49177—1 ფ. გადასახადი 1 მ., ქუთაისიდან № 41048—1 ფ. 20 გ. გადასახადი 1 მ., ქუთაისიდან № 36940—4 ფ. 20 გ. გადასახადი 8 მ. 40 კ.

ა ხ ა ლ-ს ე ნ ა კ ი—ტფილისიდან № 43752—11 ფ. 30 გ.

ს ა მ ტ რ ე დ ი ა—ტფილისიდან № 49162—1 ფ. 1 გ., ტფილისიდან № 44656—6 ფ. 20 გ., ქუთაისიდან № 40240—4 ფ. 15 გ., უცნობი სადგურიდან № 7213 ხორბალი 5 ფ.. ტფილისიდან № 54615—2 ფ. 15 გ.

ს ა ჩ ხ ე რ ე—ტფილისიდან № 46703—2 ფ. 11 გ.

ზ ე ს ტ ა ფ ო ნ ი—ბორჯომიდან № 47329 ბოთლი 4 ფ. 20 გ. უსაბუთო სიმინდი და ლობიო 2 ფ. 10 გ.

ფ ო თ ი—ნაპოვნი საქონელი უსაბუთო რიგის № 139 ჩანთა დაკეტილი № 141 ტომარა იმაში 6 პაჩქა მახორკა და სხვა სხვა წვრილმანი რიგის № 149, ხურჯინი, № 150 კალათი იმაში ზამთრის პალტო რიგის № 155 ჩანთა იმაში თბილი ფეხსაცმელი და ტომარა, ოფიცრის პატარა პარკი 1 პერანგი და ალბომი. № 153 ქოლგა შავი გატეხილი.

ნ ა ტ ა ნ ე ბ ი—აქტი № 10, 6 ტომარა თესლი 5 ფ. 35 გ., ერთი ყუთი 2 ფ. 12 გ., 2 ტომარა ქერი 8 ფ. 5 გ., ერთი ყუთი იმაში კონტორის წიგნები სავაჭრო სახლის ხაჩატურიანცის, ერთი ყუთი იმაში ერთი წყვილი ჯარის კაცის ახალი ფეხსაცმელი, 4 შინელი ძველი, 2 თეფში, სამი პატარა ქვაბი, ერთი ჩაინიკი და რიზიდა. შვიდი შეკერული ფიცრები, ტომარა იმაში ერთი წყვილი ფეხსაცმელი ძველი, 5 არშინი ჩითი, შაქარი 15 გ., ერთი შარვალი ახალი, პერანგი და ნიფხავი.

ცენტრალ საწყობში ინახება—ტფილისის სადგურიდან უსაბუთო სიმინდის ფქვილი 4 ფ., საჩხერედან № 3224 სიმინდის ფქვილი 19²⁰, პეტროგრადიდან № 47428—2 ფ. 15 გ. ცენტრალ საწყობში აქტი ტფილისის სადგურის № 3300 ნიჩაბი 26 ფ., პურის საცხობის ნაწილები 135 ფ. აუზი, რკინის ჩაქუჩი, ფარცხი, წერაქვი, რკინის კეტი, იარაღი. 322 1—1

რენტგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი წითელ ჯვრის რენტგენოლოგის და მიხეილის საავადმყოფოს

ე ქ ი მ

## ა. ლევენშტეინისა

იღებს ავადმყოფებს $10^1/_2$ 1 საათამდე და 4-იდან 7-მდე კვირა დღის გარდა. შინაგან და ქალთა ფილტვების სატკივრებისთვის. (სპეციალურად გულის, კუჭის და ქრონიკულ ავადმყოფებს ნერვიულ სისტემის და ქალურ სქესობრივ სფეროში.) რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილები რიგს გარეშე მიიღებიან. კრილოვის ქ. სახ. № 5 ბინა № 3. ტელეფონი 12—46
25—17 154

ელიამეერა ლეიბოვ-იზრაილოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული სოსინის ქალაქ. გამგეობიდან 9/XII 1913 წ. № 1412 რაც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.
243 3—3

## ექიმი ი. კ. ბზაპოლ...
**შინაგანი ავადმყოფობანი**

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვ... აპკისა გულისა და ჯირკვლებისა.

ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ... პლექისა სისხლნაკლულობისა და მალარიის... ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა

კვირისა საღამოს $4^1/_2$— 6 საათამდე. პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86. № 719.

## სატეხნიკო ლაბორატორია

ასრულებს ყოველ გვარ საწერ მანქანის ახალს, ქართულ, სომხურ, თათრულ, ენებზე მკვიდრათ და სწრაფად. ლაბორატორია გადავიდა დროებით ახალ ბინაზე: ბროსსეს ტუპიკი № 1.
275 6—1

# საქართველოს სახაზინო რკინის გზათა მართველობა

ამით აცხადებს, საყოველთაოდ, რომ ქვემოთ აღნიშნული საქონელი გაიყიდება ტფილისის ცენტრალ საწყობში 30 ივნისს 1919 წ. გაუყიდავი საქონელი ხელმეორეთ დაინიშნება გასასყიდად 1 ივლისს 1919 წ.

ბ ა გ ა ჟ ი

სამტრედია—ფოთიდგან № 22529 პურის ფქვილი 5 ფ., ბორჯომიდგან № 47314—2 ფუთ. 10 გირ.

**გორი** ტფილისიდან რიგის № 2428 მცირე სისწრაფის № 588551 საოჯახო ნივთი ... ფ. 15 გ., ტფილისიდან რიგის № 2429 მცირე სისწრაფის № 538 ფიცრები 14 ფ. 20 გ. ტფილისიდან რიგის № 243021 მცირე სისწრაფის № 614 სხვა და სხვა საქონელი 2 ფ. 35 ტფილისიდან რიგის № 2432 მცირე სისწრაფის № 541 სხვა და სხვა 6 ფ., ტფილისიდან რიგის № 240916 მცირე სისწრაფის № 588500—23 ფ. 30 გ., ტფილისიდან რიგის № 2408 მცირე სისწრაფის № 588508 18 ფ. 20 გ., ძირულიდან რიგის № 2405 მცირე სისწრაფის № 12293 ჰურჭელი თიხის 32 ფ. 20 გ., ტფილისიდან რიგის № 2403 მცირე სისწრაფის № 588556 სხვა და სხვა 60 ფ., გომიდან რიგის № 2377 მცირე სისწრაფის № 27083 პურის ფქვილი 3 ფ. 28 გ., ტფილისიდან რიგის № 2289 მცირე სისწრაფის № 588408 დამხმარე სამოსწავლო სახელმძღვანელო 5 ფ. 8 გ., ჭიათურიდან რიგის № 2411 მცირე სისწრაფის № 288803 სხვადასხვა 21 ფ. 24 გ., ძირულიდან რიგის № 2404 მცირე სისწრაფის № 12310 თიხის ჰურჭელი 40 ფ. 20 გ., ძირულიდან რიგის № 2406 მცირე სისწრაფის № 12298 ჰურჭელი თიხის 30 ფ., ტფილისიდან რიგის № 2490 მცირე სისწრაფის № 588622 სხვადასხვა 23 ფ. 8 გ., ტფილისიდან ბაგაჟის № 5356.

**მცხეთა** უცნობ სადგურიდან—1 ფ. 20 გ., უცნობ სადგურიდან—2 ფ. 5 გ., აჯამეთი—ნავთლუღიდან ბაგაჟის № 23565 თოკი 5 ფ.
319 3—2

# საქართველოს სახაზინო რკინის გზათა მართველობა

ამით აცხადებს, საყოველთაოდ, რომ ქვემოდ აღნიშნული ბაგაჟი გაუტანელი გაიყიდება ტფილისის ცენტრალ საწყობში 10 მარტს 1919 წ. დილის 10 საათზე. გაუყიდავი საქონელი ხელმეორედ დაინიშნება გასასყიდლად 11 მარტს 1919 წ.

ბაგაჟი ტფილისი. რიგის № 1458 აქტი ტფილისის სადგურისა № 2025 სატვირთო ბარათის № 4844 ბარათის № 9412 ფართლეულობა 15 ფ. 15 გ. ბათომიდგან ტვირთის ბარათის № 214757—რიგის № 844 თბორიგის № 618 კალათი 18 გ., ხაშურიდან ტვირთის ბარგის № 214757—რიგის № 844 ... ლი 1 ფ. 35 გ., უცნობ სადგურიდან ტვირთის ბარათის № 917—რიგის № 690 20 ფ. 17 გ. რიგის № 712 აქტი ტფილისის № 878—2 ფ. 5 გ., რიგის № 701 აქტი ტფილისის № 790 სხვა და სხვა 51 ფ. 25 გ., რიგის № 706 აქტი ტფილისის სადგურის № 872—1 ფ. 27 გ. რიგის № 713 აქტი № 879—2 ფ. 6 გ., რიგის № 714 აქტი № 880—1 ფ. 15 გ., რიგის № 715 აქტი № 88—2 ფ. 20 გ., რიგის № 716 აქტი № 882—1 ფ. 8 გ., რიგის № 718 აქტი № 885—4 გ., რიგის № 724 აქტი № 891—4 ფ. 18 გ., რიგის № 544 აქტი № 604—2 ფ. 30 გ., რიგის № 545 აქტი № 632—4 ფ. 15 გ., რიგის № 546 აქტი № 606—2 ფ. 35 გ., რიგის № 710 აქტი № 876 ფანარი—1 ფ. 36 გ., რიგის № 549 აქტი № 608—1 ფ. 29 გ., რიგის № 550 აქტი №613—1 ფ. 3 გ., გორიდგან რიგის № 532 ტვირთის ბარათის № 66607—27 ფ. 34 გ., ფოთიდგან რიგის № 860 ტვირთის ბარათის № 216408—2 ფ. 12 გ., გორიდან რიგის № 601 ტვირთის ბარათის № 48497 ცარიელი ბოთლი 22 ფ., რიგის № 660 ტვირთის ბარათის № 49511 აქტი ტფილისის სადგურისა № 766—1 ფ. 16 გ. ფოთიდან რიგის № 808 სატვირთო ბარათის № 88955 სხვა საქონელი 5 ფ. 35 გ., ნავთლუღიდან რიგის № 843 სატვირთო ბარათის № 118210—93 ფ., სამტრედიიდან რიგის № 575 სატვირთო ბარათის № 45259—1 ფ. 30 გ., მოსკოვიდან რიგის № 669 სატვირთო № 143428 3 ფ. 28 გ., ცარიცინიდან რიგის № 798 სატვირთო ბარათის № 79996—1 ფ. 30 გ., გორიდან რიგის № 678 სატვირთო ბარათის № 48582—1 ფ. 30 გ., ბაკურიანიდან რიგის № 744 სატვირთო ბარათის № 1150—3 ფ. 20 გ., ახალ-სენაკიდან რიგის № 622 სატვირთო ბარათის № 28650 სხვა და სხვა 5 ფ. 13 გ., ტიხორეცკიდან რიგის № 663 სატვირთო ბარათის № 5705—6 ფ. 13 გ., მოსკოვიდან რიგის № 667 სატვირთო ბარათის № 149265—2 ფ. 30 გ., ფოთიდან რიგის № 612 სატვირთო ბარათის № 182674 ფქვილი 2 გ., მოსკოვიდან რიგის 705 სატვირთო ბარათის № 2513—23 ფ. 20 გ., ეკატერინოსლავიდან რიგის № 551 სატვირთო ბარათის № 24011 2 ფ. 30 გ., მოსკოვიდან რიგის № 650 სატვირთო ბარათის № 1407—9 ფ. 12 გ., ნავთლუღიდან რიგის № 602 სატვირთო ბარათის № 111848 ძველი წაღები 10 ფ. 20 გ., ბათუმიდგან რიგის № 346 სატვირთო ბარათის № 67200—23 ფ., რიაზანიდან რიგის № 810 სატვირთო ბარათის № 79329 ზუზის ჭურჭელი 60 ფ., ბათომიდან რიგის № 345 სატვირთო ბარათის № 67199—3 ფ. 23 გ., ფოთიდან რიგის № 807 სატვირთო ბარათის № 88958 სხვა და სხვა 20 ფ. 15 გ., ბაქოდან რიგის № 649 სატვირთო ბარათის № 10854—2 ფ. 10 გ., ქიურდამირიდან რიგის № 1391 სატვირთო ბარათის № 188987 ლურსმანი 1 ფ., კოზლოვიდან რიგის № 742 სატვირთო ბარათის № 14546 1 ფ. 10 გ., შორაპანიდან რიგის № 841 სატვირთო ბარათის № 198724—1 ფ. 12 გ., ეკატერინოდარიდან რიგ. № 231 სატვირთო ბარ. № 246118—37 გ., პეტროგრადიდან რიგ. № 31 სატვ. ბარ. № 10613—2 ფ. 8 გ., ბაქოდან რიგ. № 229 სატვ. ბარ. № 10660—2 ფ. 15 გ., ფოთიდან რიგ. № 1233 სატ. ბარ. № 18553 ტყავი 5 ფ. 35 გ., ... ტროვსკიდან რიგ. № 834 სატვირთო ბარათის № 134—კაკალი წვრილი 612 ფ., რიგის № 757 აქტი ტფილისის სადგურისა № 968—8 გ., მოსკოვიდან რიგის № 589 სატვ. ბარ. № 141344—13 ფ. 16 გ., ახალ-სენაკიდან რიგ. № 534 სატვ. ბარ. № 47986—15 გ., რიგის № 753 აქტი ტფილისის სადგურისა № 964—21 გ., რიგის № 233 აქტი ტფილისის სადგურისა № 191 — 1 ფ. 5 გ., ბალაჯარიდან რიგის № 237 სატვირთო ბარათის № 1418—2 ფ., სამტრედიიდან რიგ. № 224 სატვ. ბარ. № 27290 კაკალი წვრილი 3 ფ. პეტროგრადიდან რიგის № 688 სატვ. ბარ. № 14166—1 ფ. 35 გ., რიგის № 807 აქტი თბ. სატვ. ბარათის № 88956 1 ფ. 24 გ. პროტოპოპოვიდან რიგ. № 84 სატვ. ბარ. № 43965—2 ფ. 32 გ., კიშინევიდან რიგ. № 670 სატვ. ბარ. № 1449—3 ფ. 14 გ., ზლოლბუნოვიდან რიგ. № 661 სატვ. ბარ. № 2392—6 ფ. 10 გ., სარიკამიშიდან რიგ. № 370 სატვ. ბარ. № 1011—2 ფ. 5 გ., როსტოვიდან რიგ. № 96 სატვ. ბარ. № 75145—3 ფ. 18 გ., მოსკოვიდან რიგ. № 665 სატვ. ბარ. № 1393—2 ფ. 20 გ., გორიდან რიგ. № 3 სატვ. ბარ. № 258192 სიმიდის ფქვილი 3 ფ. 5 გ, გორიდან რიგ. № 7 სატ. ბარ. № 258195 სიმიდის ფქვილი 4 ფ. 10 გ., გორიდან რიგ. № 4 სატვ. ბარ. № 258190 4 ფ., ბათუმიდან რიგ. № 741 სატვ. ბარ № 10206—12 ფ. 30 გ., ტაგანროგიდან რიგ. № 442 სატვ. ბარ. № 92961—4 ფ. 15 გ. არმავირიდან რიგ. № 648 სატ. ბარ. № 24808—6 ფ. 30 გ., მინსკიდან № 644 სატ. ბარ. № 21856—3 ფ. 30.
274 3—3